საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაციის
აჭარის ფილიალი

წლიური ანგარიში 2022

27 წელი
ადამიანის უფლებებისთვის

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

აჭარის ფილიალი

27 წელი

ადამიანის უფლებებისთვის

კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის

2022

წლიური ანგარიში

სარჩევი

მისასალმებელი სიტყვა 4

ვინ ვართ და რას ვაკეთებთ 6

ადამიანის უფლებები 7

სამართლებრივი დახმარების სტატისტიკური მონაცემები 8

2022 წლის განმავლობაში საიას აჭარის ფილიალის წარმოებაში არსებული და დასრულებული საქმეები 9

საიას აჭარის ფილიალის დახმარებით, „საქართველოს ფოსტიდან“ უკანონოდ გათავისუფლებულმა 9 პირმა კომპენსაცია მიიღო 9

გათავისუფლებული სოციალური მუშაკების საქმე 10

თემურ ბერიძის საქმეზე გამოძიება დაუსაბუთებლად ჭიანურდება 11

სამართალდარღვევად მიჩნეული პროტესტი 12

თამარ კურატიშვილის მიმართ სასამართლომ საქმის წარმოება შეწყვიტა 13

გიორგი ვაშაყმაძის საქმეზე სასამართლომ საქმის წარმოება შეწყვიტა 13

ბონდო თედორაძის საქმეზე სასამართლომ საქმის წარმოება შეწყვიტა 13

ლევან გორგილაძის საქმეზე სასამართლომ საქმის წარმოება შეწყვიტა 14

ზურაბ ქარჩავა პოლიციამ უკანონოდ დააკავა და არ მისცა მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობა 14

თემურ გორგაძე - მორალური ზიანის ანაზრაურება 15

თამარ კურატიშვილი - მორალური ზიანის ანაზრაურება 16

ადამიანის უფლებათა დაცვის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები: 17

მედია 17

ნათია კაპანაძის საქმე 17

ნათია ზოიძის საქმეზე გამოძიება დაუსაბუთებლად ჭიანურდება 18

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა 19

საიას აჭარის ფილიალის დახმარებით, LGBT თემის წარმომადგენელი დაზარალებულად ცნეს 19

,,ბათუმის ბულვარის“ ყოფილი დირექტორის საქმე 20

შოთა გუჯაბიძის საქმე 21

საიამ სისხლის სამართლის პროცესების დაკვირვებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის შედეგები წარადგინა 22

ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული აქტივობები 23

საიას აჭარის ფილიალის ადვოკატების დახმარებით დამცავი და შემაკავებელი ორდერები გამოიცა. 23

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანია 24

თ.თ-ს სისხლის სამართლის საქმეზე, სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო 24

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები 25

მართლმსაჯულების რეფორმა 25
ბათუმის საკრებულოს შუალედური არჩევნები 26
ადგილობრივი თვითმმართველობა 26
სხვა აქტივობები 27
შეხვედრები/ლექციები/სემინარები 27
იმიტირებული სასამართლო პროცესები 27
სალექციო კურსი 29
კვალიფიციური, უწყვეტი იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება 31
ურთიერთობა მედია საშუალებებთან 32

მისასალმებელი სიტყვა

ძვირფასო წევრებო, თანამშრომლებო და საიას აჭარის ფილიალის საქმიანობით დაინტერესებულო პირებო,

ჩემთვის დიდი პატივი და ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობაა, უკვე მესამედ მოგმართოთ საიას აჭარის ფილიალის თამჯდომარის სტატუსით, ეს არის, თავმჯდომარის რანგში ჩემი ბოლო მომართვა და შესაძლებლობა მადლობა გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში მაქსიმუმს აკეთებდნენ, რათა აჭარის ფილიალს ღირსეულად გაეგრძელებინა საკუთარი მისიის შესრულება. პირველ რიგში, ეს ეხება ასოციაციის თანამშრომლებს, წევრებს და ჩვენს თანამოაზრეებს ორგანიზაციის გარეთ, რომელთა დახმარებისა და თანამშრომლობის გარეშე აჭარის ფილიალი ვერ შეძლებდა თავისი მიზნებისა და საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. მადლობა ყველას, ვინც არ დაზოგა საკუთარი ენერგია აჭარის ფილიალის წარმატებისა და განვითარებისათვის.

საიას აჭარის ფილიალმა კიდევ ერთი რთული, გამოწვევებით სავსე, თუმცა წარმატებული წელი განვლო. წარმოდგენილი ანგარიში, ისევე როგორც სხვა განვლილი წლების ანგარიშები, ვერ დაიტევს იმ უზარმაზარ, დაუღალავ შრომას, რასაც საიას აჭარის ფილიალის თანამშრომლები წლის განმავლობაში ეწეოდნენ.

ისევე როგორც გასული წლების განმავლობაში, საანგარიშო პერიოდშიც ვცდილობდით ვყოფილიყავით ყველგან, სადაც ადამიანის უფლებებს და კანონის უზენაესობას საფრთხე ექმნებოდა, ყოველთვის ვცდილობდით ვყოფილიყავით მოვლენათა ეპიცენტრში, დაგვეცვა და დავხმარებოდით ყველას, ვისი უფლებაც დაირღვა, შეგვეცვალა, შეგვეჩერებინა უკუსვლა და ხელი შეგვეწყო პროგრესისთვის. ზოგ შემთხვევაში მიზანს ვაღწევდით, ზოგ შემთხვევაში ვერა. თუმცა, ყველა მცდელობა დიდი ძალისხმევის, პასუხისმგებლობის, პროფესიონალიზმის, გამძლეობის და გამბედაობის თავმოყრას საჭიროებდა ჩვენი მხრიდან და ამაყი ვარ, რომ მიუხედავად სირთულეებისა, ამ პრინციპების ერთგულებას ვახერხებდით.

დაუღალავი და თავდადებული შრომის შედეგად, ვფიქრობ, რეგიონში არსებულ ყველა გამოწვევას გავართვით თავი. ჩვენი გუნდის მიერ გაწეული შრომის შედეგების მხოლოდ ნაწილის აღწერა

მოხერხდა აღნიშნულ ანგარიშში. წლის განმავლობაში ჩვენს მიერ გაწეული საქმიანობა გაცილებით ვრცელი და მრავალფეროვანია.

გაწეული იურიდიული კონსულტაციის და მომზადებული სამართლებრივი დოკუმენტების პარალელურად, გვქონდა ძალიან საინტერესო და წარმატებული საქმეები. უმცირესობათა უფლებების დაცვა, პოლიციელთა სავარაუდო ძალადობრივი დანაშაული, დასაქმებულთა უფლებების, დაზარალებულთა უფლებების და პატიმართა უფლებების დაცვა - ეს იმ საქმეთა მცირე ჩამონათვალია, რომლებზეც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გვიწევდა მუშაობა. გვქონდა წარმატებული სადამკვირვებლო მისია არჩევნებზე, არაერთ სტუდენტს დავეხმარეთ თეორიული ცოდნის გაღრმავებასა თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. საკმაოდ მაღალი იყო მედია გაშუქების მაჩვენებელი. ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც გვრჩება განცდა, რომ კიდევ უფრო მეტის გაკეთება და გაკეთებულის კიდევ უფრო უკეთ წარმოჩენა შეგვიძლია. მეც მჯერა, რომ ასეა და საიას აჭარის ფილიალის გუნდი თვითკმაყოფილებას არასოდეს მიეცემა.

ბოლოს კიდევ ერთხელ, მინდა მადლობა ვუთხრა ყველას, ვისთან ერთადაც მუშაობის ბედნიერება მქონდა - საიას აჭარის ფილიალის თანამშრომლებს, ფილიალის თითოეულ წევრს, რომელიც საანგარიშო წლის განმავლობაში ცდილობდა ჩვენს მხარდაჭერას, განსაკუთრებით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ფილიალის გამგეობის წევრებს, პროგრამების დირექტორებს, პროექტების კოორდინატორებს და ყველა იმ ადამიანს, რომლებსაც განუხრელად გვჯერა საია-ს ღირებულებების.

პატივისცემით,

პაატა დიასამიძე
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
აჭარის ფილიალის თავმჯდომარე

ვინ ვართ და რას ვაკეთებთ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალი დაფუძნდა 1995 წლის ოქტომბერში. ამ დროისათვის ის ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო რეგიონში, რომელმაც შეძლო დაპირისპირებოდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 90-იან წლებში ჩამოყალიბებულ რეჟიმს. საიას აჭარის ფილიალი, რეგიონში არის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც 27 წელია განუხრელად ემსახურება ადამიანის უფლებების დაცვას.

ორგანიზაციაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, პროექტულ საქმიანობას საია ახორციელებს სამი პროგრამული მიმართულების ფარგლებში:

- **ადამიანის უფლებების დაცვა**
- **დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა**
- **სამართლებრივი დახმარება**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის დებულებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საიას აჭარის ფილიალის 2022 წლის ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდი: 2022 წლის 1-ლი იანვარი - 2022 წლის 31 დეკემბერი.

უცვლელია დევიზი

კანონის უზენაესობა სამართლიანობისთვის!

ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ამოცანაა. შესაბამისად საანგარიშო პერიოდისთვის, საიას აჭარის ფილიალის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას მოსახლეობისთვის უფასო იურიდიული დახმარების გაწევა წარმოადგენდა. ანგარიშში წარმოდგენილი სტატისტიკა ადასტურებს, რომ ფილიალის იურიდიული დახმარების ცენტრის საქმიანობა რეგიონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

საიას აჭარის ფილიალი საქმიანობის ფარგლებში თანაბრად უწევდა ყველა დაინტერესებულ პირს კონსულტაციას სამართლებრივ პრობლემებთან დაკავშირებით, მაგრამ ორგანიზაციის სტრატეგიიდან გამომდინარე, განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა, შშმ პირთა, ქალთა, ბავშვთა, ლგბტქი+ პირთა უფლებების დაცვაზე.

საიას აჭარის ფილიალის მიერ ბენეფიციარებისთვის გაწეული იურიდიული დახმარება მოიცავს უფასო კონსულტაციას და სამართლებრივი დოკუმენტის შედგენას. საჭიროების შემთხვევაში წარმომადგენლობის გაწევას ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში.

უფასო იურიდიული დახმარებით საიას აჭარის ფილიალი, უზრუნველყოფს კონკრეტული პირების დარღვეული უფლებების აღდგენას, ასევე სტრატეგიული სამართალწარმოებით ხელს უწყობს სწორი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რაც უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

სამართლებრივი დახმარების სტატისტიკური მონაცემები

საიას აჭარის ფილიალის ადვოკატებმა საანგარიშო პერიოდში იურიდიული დახმარება გაუწია 2 305 პირს, საიდანაც 1 162 იყო მამრობითი სქესის, ხოლო 1 143 მდედრობითი სქესის.

სატელეფონო	პირადი	ონლაინ	გასვლითი	ჯამი
417	1317	8	8	1750

საანგარიშო პერიოდში აჭარის ფილიალის ადვოკატებმა მოამზადეს 572 სამართლებრივი დოკუმენტი. სამართლებრივი დახმარება მოიცავდა თითქმის ყველა სფეროს, მაგრამ დიდი წილი სამართლებრივი დახმარების მოდის კერძო ხასიათის ქონებრივ, შრომით და საოჯახო ურთიერთობებზე.

ანგარიშის მომზადების დროისთვის ფილიალს წარმოებაშია 36 საქმე. აქედან:

- სისხლის სამართლის საქმე - 19
- სამოქალაქო სამართლის საქმე - 2
- ადმინისტრაციული სამართლის საქმე - 15

2022 წლის განმავლობაში საიას აჭარის ფილიალის წარმოებაში არსებული და დასრულებული საქმეები

საიას აჭარის ფილიალის დახმარებით, „საქართველოს ფოსტიდან“ უკანონოდ გათავისუფლებულმა 9 პირმა კომპენსაცია მიიღო

უკანონოდ გათავისუფლებული პირები წლების განმავლობაში მუშაობდნენ შპს "საქართველოს ფოსტის" ბათუმის სერვისცენტრში სხვადასხვა პოზიციებზე. 2012 წლის 27 ნოემბერს დამსაქმებელმა ისინი გაათავისუფლა უკანონოდ და დაუსაბუთებლად, რაც საბოლოო ჯამში დადასტურდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომლითაც მთლიანად დაკმაყოფილდა სარჩელი და მოპასუხეს დაევალა მათ შორის განმცხადებლების სამსახურში აღდგენა. შპს ,,საქართველოს ფოსტა“ ყოველმხრივ შეეცადა უგულებელეყო კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება და თითქოსდა მისი აღსრულების მიზნით განმცხადებლები გაამწესა ხულოს, შუახევის, ქედის, ქობულეთისა და ოზურგეთის სერვისცენტრებში, რაც რა თქმა უნდა ვერ ჩაითვლებოდა გათავისუფლებულების ტოლფას პოზიციებზე აღდგენად. შემდგომ ამისა სასარჩელო წარმოების გზით, გათავისუფლებულებმა საიას აჭარის ფილიალის დახმარებით, მოითხოვეს მიღებული უკანონო ბრძანებების ბათილობა, დასაქმებულების ტოლფას პოზიციებზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება. აღნიშნული სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ნაწილობრივ, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ორივე სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველი. სასამართლოს შეფასებით, **თავისი შინაარსით მოსარჩელეების პრეტენზია მიმართულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებასა და წესზე. ამ საკითხის გარკვევისთვის ახალი და დამოუკიდებელი სასარჩელო წარმოება კი დაუშვებელია, საკითხი უნდა გადაწყდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების განმარტების ან/და აღსრულების წესის დადგენის შესახებ განცხადების ფარგლებში.**

2020 წლის 02 თებერვალს, საიას აჭარის ფილიალის დახმარებით, უკანონოდ გათავისუფლებულმა პირებმა მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების წესის განსაზღვრის მიზნით. 2020 წლის 30 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ განცხადება დააკმაყოფილა ნაწილობრივ ცხრავე მოსარჩელის ნაწილში და მოპასუხეს დააკისრა კომპენსაციის გადახდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეთა მიერ გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, შესაბამისად საქართველოს ფოსტას ცხრავე განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა თითოეულის სასარგებლოდ 1 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

გათავისუფლებული სოციალური მუშაკების საქმე

საია აჭარის ფილიალი იცავს 2020 წლის 29 იანვარს, რეორგანიზაციის შედეგად სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ რამდენიმე სოციალურ მუშაკს. სასამართლოში მიმდინარე დავის დასრულებამდე, მოპასუხე ვეღარ შეძლებს მათ ადგილას ახალი თანამშრომლები განუსაზღვრელი ვადით დანიშნოს. სასამართლომ მოპასუხე სააგენტოს დავის გადაწყვეტამდე აუკრძალა შესაბამისი ვაკანტური პოზიციების ახალი კადრებით შევსება. ამ გადაწყვეტილებით სოციალურ მუშაკებს ეძლევათ გარანტია, რომ შრომითი დავის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სამსახურში აღდგნენ.

იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოში საქმის განხილვა დიდ დროს მოითხოვს, არსებობდა რეალური საფრთხე, რომ მოპასუხე სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ახალი კადრებით შეევსო ის პოზიციები, რომლებზე აღდგენასაც გათავისუფლებული სოციალური მუშაკები მოითხოვენ. ასეთ შემთხვევაში, დავის წარმატებით დასრულების მიუხედავად, სოციალური მუშაკებს სამსახურში აღდგენაში ხელი შეეშლებოდათ. აღნიშნული საფრთხის აღმოსაფხვრელად, საია-მ სასამართლოს მეშვეობით სარჩელის უზრუნველყოფა მოითხოვა, რომლითაც სააგენტოს გათავისუფლებული სოციალური მუშაკების აღსადგენ პოზიციებზე სხვა თანამშრომლების განუსაზღვრელი ვადით დანიშვნა აეკრძალებოდათ.

პირველ ეტაპზე, ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნა, თუმცა, მისი გადაწყვეტილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ შეცვალა. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ტოლფას სამუშაოზე აღდგენამ ან კომპენსაციის განსაზღვრამ შესაძლოა ვერ უზრუნველყოს სრულად და ეფექტიანად მოსარჩელეთა დარღვეული უფლების რეალიზაცია, ასევე, თუ მოპასუხეს არ შეეზღუდა სადავო ვაკანტურ პოზიციებზე თანამშრომელთა განუსაზღვრელი ვადით დანიშვნა, შესაძლოა შეუძლებელი გახდეს მოსარჩელეთა სამუშაოზე აღდგენა, ხოლო სასამართლოს მიერ მოპასუხისთვის დაკისრებული კომპენსაცია ვერ ჩაანაცვლებს მათ შრომით უფლებას ჰქონდეთ სამსახური, შესაბამისი ანაზღაურებით.

სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება საბოლოოა, რაც იმას ნიშნავს, რომ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრს, აეკრძალა უფროსი სოციალური მუშაკისა და ამავე ცენტრის სოციალური მუშაკის 2 თანამდებობაზე შრომითი ხელშეკრულებით ან სხვა წესით თანამშრომლის განუსაზღვრელი ვადით დანიშვნა.

სოციალური მუშაკების საქმეზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს დღემდე არ ჩაუნიშნავს სასამართლოს პროცესი.

თემურ ბერიძის საქმეზე გამოძიება დაუსაბუთებლად ჭიანურდება

2019 წლის 07 აგვისტოს, თემურ ბერიძის მიმართ, მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან განხორციელებული მუქარის ფაქტზე, რომლის მიზანიც იყო მოგებული ტენდერის დათმობა, დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, რაც გულისხმობს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით.

მაღალი თანამდებობის პირების გავლენით, უფლებამოსილების გადამეტების მუხლით დაწყებული სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო ძალადობის საქმე, რომელზეც ბრალდებულად ცნეს ხულოს საკრებულოს დეპუტატი, მინდია რიჟვაძე. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე დაწყებული გამოძიება კი დღესაც უშედეგოდ მიმდინარეობს.

თემურ ბერიძის საქმეზე რამდენჯერმე მოხდა საჯარო განცხადების გავრცელება, სადაც მოვუწოდეთ გენერალურ პროკურატურას - „დროულად ჩაატაროს ეფექტიანი, ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიება თანამდებობის პირების ქმედებებში სავარაუდო დანაშაულის ნიშნების გამოკვეთისა და მათთვის პასუხისმგებლობის სათანადო ზომების დაკისრების მიზნით“.[1]

ასევე რამდენჯერმე მივმართეთ პროკურატურას თემურ ბერიძის დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით, მაგრამ დღემდე არ მომხდარა თემურ ბერიძის დაზარალებულად ცნობა.

თემურ ბერიძის საქმეში ინტერესს იწვევს მის მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც თემურ ბერიძის მიერ საგამოძიებო ორგანოსთვის მიმართვის შემდეგ დაიწყო, სწორედ ეს მიმართვა, რომელიც გამოქვეყნდა ბეჭდური მედიის საშუალებით, საფუძვლად დაედო თემურ ბერიძის მიმართ დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.

დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, თემურ ბერიძეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა „საყვედური“, რომელიც საიას დახმარებით თემურ ბერიძემ გაასაჩივრა სასამართლოში.

„საყვედურის“ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, თემურ ბერიძის მიმართ დაიწყეს ახალი დისციპლინური წარმოება, რითაც გაათავისუფლეს სამსახურიდან, აღნიშნული ქმედება ადასტურებს თემურ ბერიძის მიმართ დევნას.

სამართალდარღვევად მიჩნეული პროტესტი

უკვე წლებია, საია აქტიურად არის ჩართული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის რეფორმის პროცესში და ახორციელებს როგორც სტრატეგიულ სამართალწარმოებას ამ მიმართულებით, ასევე, ჩართულია სხვადასხვა ტიპის ადვოკატირების კამპანიებში. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავები კვლავ პრიორიტეტად რჩება.

საანგარიშო პერიოდში არაერთი საქმე დავასრულეთ წარმატებით:

[1] https://gyla.ge/ge/post/saia-temur-beridzis-saqmis-droul-gamodziebas-itkhovs#sthash.QW07qRpx.dpbs

თამარ კურატიშვილის მიმართ სასამართლომ საქმის წარმოება შეწყვიტა

2022 წლის 1 მარტს, ქ. ბათუმში, კ. გამსახურდიას ქუჩაზე, აჭარის ა/რ მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე აქციაზე, თანამოაზრეებთან ერთად იმყოფებოდა თამარ კურატიშვილი. ისინი აპროტესტებდნენ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, მხარდაჭერას უცხადებდნენ უკრაინას და გმობდნენ პუტინის მიერ განხორციელებულ ქმედებებს.

მიმდინარე საპროტესტო აქციაზე ადმინისტრაციული წესით დააკავეს თამარ კურატიშვილი. ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2022 წლის 28 აპრილის დადგენილებით თამარ კურატიშვილის საქმეზე შეწყვიტა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

გიორგი ვაშაყმაძის საქმეზე სასამართლომ საქმის წარმოება შეწყვიტა

2022 წლის 1 მარტს, ქ. ბათუმში, კ. გამსახურდიას ქ. N9-ში მდებარე აჭარის ა/რ მთავრობის სახლის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე საპროტესტო აქციაზე თანამოაზრეებთან ერთად იმყოფებოდა გიორგი ვაშაყმაძე, ისინი აპროტესტებდნენ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, მხარდაჭერას უცხადებდნენ უკრაინას და გმობდნენ პუტინის მიერ განხორციელებულ ქმედებებს.

მიმდინარე საპროტესტო აქციაზე ადმინისტრაციული წესით დააკავეს გიორგი ვაშაყმაძე. ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2022 წლის 11 აპრილის დადგენილებით გიორგი ვაშაყმაძის საქმეზე შეწყვიტა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

ბონდო თედორაძის საქმეზე სასამართლომ საქმის წარმოება შეწყვიტა

2022 წლის 1 მარტს, ქ. ბათუმში, კ. გამსახურდიას ქუჩაზე, აჭარის ა/რ მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე აქციაზე, თანამოაზრეებთან ერთად იმყოფებოდა ბონდო თედორაძე. ისინი აპროტესტებდნენ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, მხარდაჭერას უცხადებდნენ უკრაინას და გმობდნენ პუტინის მიერ განხორციელებულ ქმედებებს.

მიმდინარე საპროტესტო აქციაზე ადმინისტრაციული წესით დააკავეს ბონდო თედორაძე. ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2022 წლის 18 აპრილის დადგენილებით ბონდო თედორაძის საქმეზე შეწყვიტა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

ლევან გორგილაძის საქმეზე სასამართლომ საქმის წარმოება შეწყვიტა

2022 წლის 1 მარტს, ქ. ბათუმში, კ. გამსახურდიას ქუჩაზე, აჭარის ა/რ მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე აქციაზე, თანამოაზრეებთან ერთად იმყოფებოდა ლევან გორგილაძე. ისინი აპროტესტებდნენ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, მხარდაჭერას უცხადებდნენ უკრაინას და გმობდნენ პუტინის მიერ განხორციელებულ ქმედებებს.

მიმდინარე საპროტესტო აქციაზე ადმინისტრაციული წესით დააკავეს ლევან გორგილაძე. ბათუმის საქალაქო სასამართლომ ლევან გორგილაძე ცნო სამართალდამრღვევად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ლევან გორგილაძის მიმართ შეწყვიტა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.

ზურაბ ქარჩავა პოლიციამ უკანონოდ დააკავა და არ მისცა მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობა

28 დეკემბერს, ბათუმში, მთავრობის სახლთან, სამოქალაქო აქტივისტი ზურაბ ქარჩავა პოლიციამ უკანონოდ დააკავა და არ მისცა მშვიდობიანი პროტესტს გამოხატვის შესაძლებლობა.

მას სურდა, გაეპროტესტებინა საჯარო სკოლებში მოსწავლეებისათვის უფასო კვების არარსებობა და მთავრობის სახლთან მდებარე სკვერში კარვის განთავსებას გეგმავდა. თავდაპირველად პოლიციამ, მათივე განმარტებით, გასაუბრების მიზნით იგი გადაიყვანა პოლიციის განყოფილებაში. მოგვიანებით, პოლიციამ ზურაბ ქარჩავას შესაძლებლობა მისცა დაეტოვებინა პოლიციის შენობა ისე, რომ დაკავების ან სამართალდარღვევის ოქმი არ ყოფილა შედგენილი. ამის შემდგომ, ზურაბ ქარჩავა დაბრუნდა იმ ადგილას, სადაც პროტესტის გამოხატვა სურდა და დაიწყო კარვის განთავსება. პროტესტის გამოხატვის მეორე მცდელობის შემდგომ, პოლიციამ სამოქალაქო აქტივისტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე დააკავა, რაც პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას ითვალისწინებს. როგორც პოლიციის წარმომადგენელმა დაკავებისას განუმარტა, მისი პროტესტი ხელს უშლიდა დაგეგმილ საახალწლო ღონისძიებებს. თუმცა,

ის ადგილი, სადაც მოქალაქე აქციის გამართვას გეგმავდა, საახალწლო ღონისძიებების მიმდინარეობის ადგილისაგან მოშორებით მდებარეობს.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველას აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება. შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება მოიცავს შეკრების გამართვის ადგილის, დროის, ფორმისა და შინაარსის არჩევის უფლებას, რაც შესაძლებლად მიიჩნევს დროებითი კონსტრუქციების განთავსების შესაძლებლობასაც. შეკრებები და მანიფესტაციები ხშირად შეიძლება დისკომფორტს უქმნიდეს არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ, ასევე, საზოგადოების უმრავლესობის წარმომადგენლებსაც, თუმცა, ეს არ შეიძლება გახდეს შეკრების უფლების შეზღუდვის საფუძველი.

იმ პირობებში, როდესაც ზურაბ ქარჩავას ქმედებებში არ იკვეთება სამართალდარღვევის ნიშნები, საია მიიჩნევს, რომ მისი დაკავება მოხდა უკანონოდ.

თემურ გორგაძე - მორალური ზიანის ანაზღაურება

თემურ გორგაძე არის პოლიტიკური გაერთიანება „გირჩი მეტი თავისუფლების“ წევრი და აჭარის რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი. მას, როგორც მუსლიმი თემის წარმომადგენელს და პოლიტიკურად აქტიურ პირს, სისტემატურად უსმენს და უთვალთვალებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. აღნიშნული ფაქტის გაპროტესტების მიზნით, 2021 წლის 12 ნოემბერს გადაწყვიტა გაემართა აქცია-პერფორმანსი უსაფრთხოების სამსახურის მიმდებარე ტერიტორიაზე.

პროტესტის გამოხატვის დროს თემურ გორგაძე პოლიციამ დააკავა, შეკრებებისა და მანიფესტაციების წესის დარღვევის და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის გამო.

თემურ გორგაძის დაკავების 24 საათიანი ვადა, პოლიციამ მტკიცებულებების მოპოვების მიზნით დამატებით 24 საათით გააგრძელა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადგენილებით, თემურ გორგაძე ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად მხოლოდ პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობაში, სახდელის სახედ და ზომად შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 5 დღე-ღამით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, სრულად დააკმაყოფილა თემურ გორგაძის სააპელაციო საჩივარი, გააუქმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადგენილება, კერძოდ, თემურ გორგაძის მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი

ნაწილითა(პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) და 174(1) მუხლის მე-4 ნაწილით(შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზების და ჩატარების წესის დარღვევა) დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყვიტა.

2022 წლის 11 მარტს თემურ გორგაძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს მიმართ და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება.

თამარ კურატიშვილი - მორალური ზიანის ანაზღაურება

2021 წლის 13 ნოემბერს, ქ.ბათუმში სახელმწიფო უსაფრთხოების შენობასთან, საქართველოს შს სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს თამარ კურატიშვილი.

დაკავების ოქმის შესაბამისად, დაკავება განხორციელდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლების საფუძველზე. დაკავების შემდგომ, თამარ კურატიშვილი გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში. 2021 წლის 14 ნოემბერს დაკავების ვადა შს სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე გაგრძელდა 24 საათით.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ, თამარ კურატიშვილის მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყვიტა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს დადგენილება, უცვლელად დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ.

2022 წლის 31 მარტს თამარ კურატიშვილმა, სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს მიმართ, მოითხოვა ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ ცნობა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

ადამიანის უფლებათა დაცვის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები:

მედია

ნათია კაპანაძის საქმე



ნათია კაპანაძე 2016 წლის 24 ოქტომბერს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" მრჩეველთა საბჭომ კანონით დადგენილი წესით აირჩია სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორად. უფლებამოსილების დაწყების ვადად კი განსაზღვრა 2016 წლის 21 დეკემბერი.

2019 წლის 10 აპრილს სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს მიმართა საბჭოს ორმა წევრმა და დირექტორისთვის უნდობლობის გამოცხადების დღის წესრიგით სხდომის მოწვევა მოითხოვა.

2019 წლის 19 აპრილს მრჩეველთა საბჭომ განიხილა უნდობლობის საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება უნდობლობის გამოცხადების და დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

საია-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა უნდობლობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების 1-ლი და მეორე პუნქტის ბათილობა, ნათია კაპანაძის ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორად აღდგენა და განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ნათია კაპანაძის სასარჩელი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ნათია კაპანაძის სააპელაციო საჩივარი, ანგარიშის მომზადების დროისთვის ნათია კაპანაძის საკასაციო საჩივარს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

ნათია ზოიძის საქმეზე გამოძიება დაუსაბუთებლად ჭიანურდება

აჭარის ტელევიზიის დირექტორის მოადგილე ნათია ზოიძემ 2019 წლის 13 დეკემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს მიმართა და მოითხოვა გამოძიების დაწყება. ნათია ზოიძე მიიჩნევს, რომ კრიტიკული აზრის გამო, სსიპ „აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის მხრიდან გახდა დევნის მსხვერპლი. მის ინტერესებს საია იცავს.

საია ზემოაღნიშნულ დავებზე ახორციელებს სტრატეგიულ სამართალწარმოებას და, იმავდროულად, ჩართულია ადვოკატირების კამპანიაში. ორგანიზაციამ, როგორც „კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის“ ფარგლებში, ისე დამოუკიდებლად, არაერთი განცხადება გაავრცელა სსიპ „აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

მიმდინარე გამოძიების გაჭიანურების გამო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, ნათია ზოიძის საქმეზე მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს. საქმისწარმოების ფარგლებში მოპოვებული მასალების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ დირექტორის მიერ მიღებული სხვადასხვაგვარი გადაწყვეტილებებით: კონკრეტული თანამშრომლისთვის ფუნქციების ცალმხრივად შეცვლით, დისციპლინური დევნის დაწყებით და სამსახურიდან გათავისუფლებით, რომლის მოტივიც არის ხსენებული პირების მხრიდან კრიტიკული აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, შესაძლო დევნის მსხვერპლი გახდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ არაერთი თანამშრომელი, მათ შორის ნათია ზოიძე. საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის გადაწყვეტილებები კონკრეტული თანამშრომლის გათავისუფლებისა თუ სამსახურებრივი მოვალეობების ცვლილების შესახებ, ფორმალურად ეფუძნებოდა სხვადასხვა მიზეზს, რომელთა უმეტესი ნაწილი არაკანონიერია სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილებები იყო დაუსაბუთებელი და რეალურად მიმართული იყო კრიტიკული აზრის მქონე თანამშრომლების მაუწყებლისგან ჩამოშორებისკენ, რაც ზრდის გიორგი კოხრეიძის მხრიდან თანამშრომელთა მიმართ განსხვავებული აზრის გამო განხორციელებულ შესაძლო დევნის ვარაუდს.

სახალხო დამცველის აპარატმა, გენერალურ პროკურატურას მიმართა, რომ ნათია ზოიძის განცხადება აშკარად შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით (ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, რაც საგამოძიებო უწყებას ავალდებულებდა გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყებას, თუმცა, საგამოძიებო უწყებამ აღწერილი ფაქტები სამოქალაქო დავის საგნად მიიჩნია.

სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, გამოძიების არდაწყების საკითხი კიდევ უფრო ბუნდოვანი და გაუგებარია, ვინაიდან როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ხსენებული წერილიდან ირკვევა, ჩატარდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება - მოწმის გამოკითხვა. სახალხო დამცველის აპარატმა, სხვა ინფორმაციასთან ერთად, სამინისტროდან ასევე გამოითხოვა შემდეგი ინფორმაცია, კერძოდ, გამოძიების არდაწყების შემთხვევაში, გამოიკითხნენ თუ არა ხსენებულ ფაქტებთან შემხებლობაში მყოფი პირები და რა სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით. თუმცა, აღნიშნული კითხვა სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა და ვერ მიუთითა მოწმეთა გამოკითხვის სამართლებრივი საფუძველი.

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა

საიას აჭარის ფილიალის დახმარებით, LGBT თემის წარმომადგენელი დაზარალებულად ცნეს

საიას ბენეფიციარი უ.ყ. ბავშვობიდან იყო ძალადობის მსხვერპლი. გამოთქმული აზრის, განსხვავებული შეხედულებებისა და ქცევის გამო, მამა მასზე ხშირად ძალადობდა. 2019 წლის 17 მაისს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ გადაცემა „ჰეშთეგში“ გავიდა სიუჟეტი, რის შემდეგაც განმცხადებელი ნათესავების მხრიდან მუქარისა და აგრესიის მსხვერპლი გახდა. სიუჟეტი ეხებოდა LGBT თემს.

განმცხადებელმა საიას აჭარის ფილიალის ადვოკატის დახმარებით აჭარის ა.რ. პროკურატურას მიმართა. რაიონული პროკურორის მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე, იგი დაზარალებულად ცნეს. ბათუმის საქალაქო სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულს აღკვეთი ღონისძიების სახით შეუფარდა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. 2019 წლის 17 ივლისიდან ბათუმის საქალაქო სასამართლო განიხილავს ბრალდებულის ზ.ყ-ს სისხლის სამართლის საქმეს, მაგრამ დღემდე არანაირი შედეგი არ დამდგარა აღნიშნულ საქმეზე.

,,ბათუმის ბულვარის“ ყოფილი დირექტორის საქმე

ირაკლი ჯინჭარაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით 2021 წლის 11 აპრილს გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლებას წინ უსწრებდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის სხდომა, სადაც ირაკლი ჯინჭარაძემ გააკრიტიკა დაახლოებით 4500 კვ/მ ფართობის პლაჟის ბრენდირებული სასტუმროებისთვის გრძელვადიანი იჯარით გადაცემის ინიციატივა, ვინაიდან ამით ხსენებული სანაპირო მონაკვეთი აღარ იქნებოდა ხელმისაწვდომი ადგილობრივი მოსახლეობისა და დამსვენებლებისთვის. გათავისუფლების შესახებ მიღებული განკარგულების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის და განაცდურის ანაზღაურების შესახებ ირაკლი ჯინჭარაძემ საიას დახმარებით სასამართლოს მიმართა, არსებობდა იმის რეალური საფრთხე, რომ დავის დასრულებამდე დირექტორის თანამდებობას სხვა პირი დაიკავებდა, რითაც ხელი შეეშლებოდა ირაკლი ჯინჭარაძის სამსახურში აღდგენას, რის გამოც მოვითხოვეთ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, „აიკრძალოს სსიპ ,,ბათუმის ბულვარის“ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატურის შესარჩევად გამარტივებული საჯარო კონკურსის ჩატარება და სსიპ ,,ბათუმი ბულვარის“ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის დანიშვნა.“ ბათუმის საქალაქო სასამართლომ ჩვენი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, რაც გავასაჩივრეთ სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა, მიღებული დროებითი განჩინებით უზრუნველყოფილია, რომ შრომითი დავის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ირაკლი ჯინჭარაძე დაუბრუნდეს თანამდებობას.

ირაკლი ჯინჭარაძის საქმეზე ბათუმის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გავასაჩივრეთ სააპელაციო წესით.

შოთა გუჯაბიძის საქმე

2021 წლის 28 იანვარს სსიპ - „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოს - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს“ წევრისთვის ცნობილი გახდა, რომ ამავე წლის 22 იანვარს, სააგენტოს დირექტორის ბრძანებით შეუწყდა საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

სააგენტოს დირექტორის ბრძანების თანახმად, შოთა გუჯაბიძეს სტატუსი, სააგენტოს პოლიტიკის მიმართ მისი განსხვავებული, კრიტიკული მოსაზრებების გამო შეუწყვიტეს, რაც სააგენტოს “მიზანმიმართულ დისკრედიტაციად” შეაფასა სააგენტოს დირექტორმა.

„აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო“, სააგენტოს დირექტორის სათათბირო ორგანოა, რომელიც აჭარის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემის საკითხს განიხილავს. სწორედ ამ საბჭოს წევრთა უმრავლესობამ, 2021 წლის 21 იანვარს, შპს „ამბასადორი ბათუმისთვის“ ბულვარში 16-სართულიანი შენობის მშენებლობაზე დადებითი რეკომენდაცია გასცა. გადაწყვეტილებას კი შოთა გუჯაბიძე ღიად დაუპირისპირდა - გადაწყვეტილების უკანონობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესებთან შეუთავსებლობის გამო.

სააგენტოს დირექტორმა ზაურ ახვლედიანმა, შოთა გუჯაბიძის კრიტიკული მოსაზრებების გამო, ისე, რომ არც კი მოუსმენია მისი მოსაზრებები, საბჭოს წევრის უფლებამოსილება შეუწყვიტა, რაც შეიცავს სავარაუდოდ დისკრიმინაციის ნიშნებს. იგი ემსახურება შოთა გუჯაბიძის დასჯას სააგენტოს უკანონო გადაწყვეტილებების მიმართ კრიტიკული მოსაზრებები გამო.

მიუხედავად იმისა, რომ სარჩელის სასამართლოში შეტანიდან ერთ წელზე მეტი გავიდა, შოთა გუჯაბიძის საქმეზე, პროცესი დღემდე არ ჩანიშნულა.

საიამ სისხლის სამართლის პროცესების დაკვირვებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის შედეგები წარადგინა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2022 წლის 28 ნოემბერს ქალაქ ბათუმში სისხლის სამართლის პროცესებზე დაკვირვებისა და იუსტიციის საბჭოს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი მიგნებები და რეკომენდაციები წარადგინა.



კვლავ სუსტია სასამართლოს კონტროლი საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შუამდგომლობებისა და დაკავების კანონიერების შეფასების ნაწილში.

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ოთხი პროცენტული ერთეულით გაზრდილია განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმების დადების ხვედრითი წილი.

კვლავ მწვავე პრობლემაა ფემიციდის, ქალთა მკვლელობის შემთხვევები. საანგარიშო პერიოდში საია აკვირდებოდა ქალთა მკვლელობის არაერთ საქმეს, რომლებიც ოჯახურ დანაშაულს უკავშირდებოდა. ასევე, მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა ქორწინების იძულების ფაქტი. რაც შეეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგს, გამოვლინდა, რომ სისტემის მთავარი გამოწვევა კვლავ კლანური მმართველობაა იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოს შემადგენლობაში, როგორც წესი, მხოლოდ მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის წარმომადგენლები ხვდებიან. 2021 წლის ივნისის შემდეგ საბჭო 5 არამოსამართლე წევრის გარეშე, 10-კაციანი შემადგენლობით აგრძელებს მუშაობას. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე წევრთა სრული უპირატესობით, არამოსამართლე წევრების ჩართულობის გარეშე, რაც კიდევ უფრო აძლიერებს კორპორატივიზმს საბჭოში.

„კლანი“ საბჭოში გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი ხმების 2/3-ს აკონტროლებს, რაც საშუალებას აძლევს მას თანამდებობებზე მისთვის მისაღები პირები დანიშნოს. კლანის ძალაუფლების ერთ-ერთ ბერკეტს სასამართლოს თავმჯდომარეები წარმოადგენენ.

კლანის ყველა გავლენიან წევრს სასამართლო სისტემაში მუდმივად უჭირავს მნიშვნელოვანი თანამდებობა. ისინი ამ თანამდებობებს ერთმანეთს უცვლიან, რაც სხვა მოსამართლეებს მენეჯმენტში ჩართვის შესაძლებლობას არსებითად უმცირებს. კვლავ ჭიანურდება დისციპლინური სამართალწარმოების ვადები.

ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული აქტივობები

საიას აჭარის ფილიალის ადვოკატების დახმარებით დამცავი და შემაკავებელი ორდერები გამოიცა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის სტრატეგიულ მიმართულებად რჩება საქმიანობა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. საანგარიშო პერიოდში, ოჯახში და ქალთა მიმართა ძალადობის მსხვერპლებს საიას აჭარის ფილიალის ადვოკატებმა მოუმზადეს არერთი დოკუმენტი და გაუწიეს სამართლებრივი კონსულტაცია.

საანგარიშო პერიოდში საიას აჭარის ფილიალის ადვოკატის დახმარებით შ.ბ.-მ მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით. ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა და გამოსცა დამცავი ორდერი მოძალადისთვის უფლებების შეზღუდვის თაობაზე.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანია

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, რომელიც 25 ნოემბერს დაიწყო და 10 დეკემბერს-ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს დასრულდა, საიას აჭარის ფილიალმა არაერთი აქტივობა განახორციელა.

8 დეკემბერს აჭარის რადიოში ვისაუბრეთ ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმების ეფექტურობაზე და საზოგადოების როლზე ძალადობის გამოვლენასა და აღმოფხვრაში.

თ.თ-ს სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო

საიას აჭარის ფილიალი იცავს ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლის თ.თ-ს ინტერესებს. აღნიშნულ საქმეზე 2019 წლის ივნისის თვეში დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151[1] (ადევნება) მუხლით. საქმეზე გამოძიების დაწყების შემდეგ, საიას ადვოკატების მოთხოვნის საფუძველზე ჩატარდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება. საიას დახმარებით მსხვერპლმა მიიღო დაზარალებულის სტატუსი. 2021 წლის 08 ნოემბერს ბრალდებულად ცნეს მოძალადე, რომელსაც ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცხრა სხვადასხვა მუხლით. სასამართლომ ბრალდებულის მიმართ, აღკვეთი ღონისძიების სახით გამოიყენა პატიმრობა.

2022 წლის 06 აგვისტოს ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ განიხილა ტ.მ-ს სისხლის სამართლის საქმე, სასამართლომ მოძალადე ყველა წარდგენილ ბრალდებაში ცნო დამნაშავედ, გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 157[1] (პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა) მუხლით წარდგენილი ბრალდებისა, რომელიც გადააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლზე (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა). სასამართლომ მოძალადეს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 03 (სამი) წლის ვადით. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს განაჩენი სასჯელის ნაწილში არის დაუსაბუთებელი, რის გამოც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარვადგინეთ მოსაზრება სასჯელის დამძიმების თაობაზე.

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

მართლმსაჯულების რეფორმა

გამოწვევად რჩება სამართალდამცავ და სასამართლო სისტემაში კორუფციისა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უგულებელყოფის ფაქტები.

როდესაც საუბარია მართლმსაჯულების სისტემის რეფორმაზე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე, რომელშიც ნათლად და ხაზგასმით ჩანს მართლმსაჯულების სისტემის კრიზისი, არის საიას აჭარის ფილიალის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს უვადოდ განწესებული მოსამართლე გიორგი მიქაუტაძე ფიგურირებს.

დადგენილია, რომ თ.ხ-ს განცხადების საფუძველზე დაიწყო გამოძიება მისი არასრულწლოვანი შვილის მიმართ ჩადენილი შესაძლო ცემის ფაქტთან დაკავშირებით, თუმცა, გამოძიება მხოლოდ ერთი - მოსამართლე გიორგი მიქაუტაძის მიერ მითითებული გარემოებების მიმართულებით განვითარდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ფაქტი, როგორც თ.ხ-ს შვილის მიმართ განხორციელებული ქმედებები, ისე მოსამართლე მიქაუტაძის მიმართ ჩადენილი შესაძლო დანაშაული ერთსა და იმავე დროს მოხდა, გამოძიებამ მხოლოდ ერთ ფაქტთან დაკავშირებული მტკიცებულებები შეაგროვა, რაც სახელმწიფოს ცალმხრივ ინტერესზე მიანიშნებს - გამოიძიოს მხოლოდ მოსამართლე მიქაუტაძის მიმართ ჩადენილი შემთხვევა.

უზენაესმა სასამართლომ თ.ხ-ს სისხლის სამართლის საქმეზე საქმის განხილვა დაასრულა 2021 წლის 07 ივნისს, არაერთხელ დაირღვა საქმის განხილვის ვადები, მაშინ, როდესაც თ.ხ-ს შვილის მიმართ ჩადენილ ქმედებებზე სამართალწარმოება კვლავ გამოძიების სტადიაზეა, გავიდა გამოძიების ხანდაზმულობის ვადა და პროკურატურას საქმის ამ ეპიზოდთან დაკავშირებით რაიმე შემაჯამებელი გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიუღია. ამგვარი შერჩევითი მიდგომა არღვევს სახელმწიფოს ვალდებულებას, ყოველმხრივ, სრულყოფილად და მიუკერძოებლად აწარმოოს გამოძიება.

გამოძიების გაჭიანურება და მისი მიმდინარეობის შესახებ არასაკმარისი ინფორმაცია აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ საქმეზე ირღვევა კანონის უზენაესობის პრინციპი. სასამართლო

ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირის - გიორგი მიქაუტაძის მონაწილეობა საქმეში, შესაძლოა, ხელს უშლიდეს საქმეზე გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას.

არაეფექტურ გამოძიებასთან ერთად, სახეზეა შერჩევითი მიდგომა ერთი ფაქტის გარშემო დაწყებული ორი სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას.

ბათუმის საკრებულოს შუალედური არჩევნები

2022 წლის აპრილში საია დააკვირდა ბათუმის საკრებულოს 79.04 მაჟორიტარულ ოლქში გამართულ შუალედურ არჩევნებს, რომელიც ელექტრონული სისტემით ჩატარდა. ამ გამოცდილებამ ორგანიზაციას შესაძლებლობა მისცა, უკეთესად გაცნობოდა პრაქტიკაში ისეთი მექანიზმების დანერგვას, რომელთა გამოყენებასაც მმართველი პარტია და ცენტრალური საარჩევნო კომისია სამომავლოდ კენჭისყრის პროცესის გამარტივების მიზნით გეგმავენ. დამატებით, საიამ შეაფასა წინასაარჩევნო გარემო. მაისში გამოქვეყნდა შემაჯამებელი ანგარიში, რომელშიც გაანალიზდა როგორც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი და მეორე ტურების წინასაარჩევნო გარემო და კენჭისყრის დღე, ასევე ბათუმის 79.04 მაჟორიტარული ოლქის შუალედური არჩევნები. პროექტი საქართველოში ბრიტანეთის საელჩოსა და „ღია საზოგადოების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ადგილობრივი თვითმმართველობა

სახელმწიფოს მმართველობის სისტემაში, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ფორმის მიუხედავად, ადგილობრივი თვითმმართველობა მოქალაქეთათვის ყველაზე ხელმისაწვდომ დონედ მიიჩნევა. აქ გამარტივებულია კომუნიკაცია მუნიციპალურ ორგანოებთან და თანამდებობის პირებთან; მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს პირდაპირი მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ამის შემდეგ კი ეფექტური ზედამხედველობა განახორციელოს მათი შესრულების მიმდინარეობასა თუ საბოლოო აღსრულებაზე.

პოლიტიკურ ცხოვრებაში საზოგადოების აქტიურ ჩართულობას წინ უნდა უძღოდეს სტაბილური და ეფექტიანი ადგილობრივი თვითმმართველობების არსებობა. საანგარიშო პერიოდში საიას აჭარის ფილიალი აკვირდებოდა ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობას.

სხვა აქტივობები

შეხვედრები/ლექციები/სემინარები

"თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი", საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) აჭარის ფილიალის წარმომადგენელთან ერთად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ შარაბიძეების მოსახლეობას შეხვდა.

მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის ძირითად თემად განსაზღვრული იყო მიწის ნაკვეთების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები, მოქალაქეთა ნაწილის შეკითხვები შეეხებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებულ საკითხებს, ოქმის გასაჩივრების პროცედურებს, განქორწინებასა და სასამართლოს მიერ დაკისრებული ალიმენტს.

იმიტირებული სასამართლო პროცესები

საიას აჭარის ფილიალის ორგანიზებით ბათუმის საქალაქო სასამართლოში ჩატარდა 2 იმიტირებული სასამართლო პროცესი.

იმიტირებული პროცესის მონაწილეები იყვნენ სკოლის მოსწავლეები, რომლებსაც ტრენინგები ჩაუტარეს საიას აჭარის ფილიალის ადვოკატის თანაშემწეებმა.



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ბსუ-ს იურიდიული კლინიკის ორგანიზებით, ჩატარდა საჯარო შეხვედრა თემაზე: "საპროცესო დოკუმენტების შედგენის მეთოდიკა".

საიას აჭარის ფილიალის ადვოკატმა, სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასში“, ჩაატარა ტრენინგი თემაზე „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“.

სალექციო კურსი

საანგარიშო წლის განმავლობაში საიას აჭარის ფილიალის ორგანიზებით, სალექციო კურსის ფარგლებში, ჩატარდა არაერთი საინტერესო ლექცია/ტრენინგი.

გამოხატვის თავისუფლება და თავისუფლების გამოხატვა - როგორ ეხმარება მედია მოქალაქეს

სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მიღება (SPA/NAT) / დავების საბჭო

აუდიტის დაგეგმვა და მნიშვნელოვანი მიგნებების გამოვლენის ტექნიკა



კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები

კვალიფიციური, უწყვეტი იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

იურიდიული პროფესიის განვითარებისა და ახალგაზრდა იურისტთა პროფესიონალებად ჩამოყალიბების პროცესში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს სტაჟირების პროგრამას, რომელიც საიას აჭარის ფილიალის იურიდიული დახმარების ცენტრში ფუნქციონირებს.

პროგრამა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და კურსდამთავრებულებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენის საშუალებას აძლევს. სტაჟირების პროგრამა 6 თვეს გრძელდება და მისი მონაწილეები სპეციალური კონკურსის გზით შეირჩევიან.

ურთიერთობა მედია საშუალებებთან

2022 წლის განმავლობაში საიას აჭარის ფილიალის იურისტები აქტიურად თანამშრომლობდნენ მედიასაშუალებებთან.

გაზეთი „ბათუმელები“, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“, TV 25 - ეს ის რეგიონული მედიაორგანიზაციებია, რომლებთანაც საიას აჭარის ფილიალი საანგარიშო პერიოდში აქტიურად და კონსტრუქციულად თანამშრომლობდა.

საიას აჭარის ფილიალი აქტიურად პოზიციონირებს სოციალურ მედიაში. ორგანიზაცია ყოველდღიურ რეჟიმში აწოდებს მომხმარებელს ინფორმაციას საკუთარი აქტივობების შესახებ, ყველაზე პოპულარული სოციალურ ქსელის Facebook-ის მეშვეობით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

აჭარის ფილიალის მმართველო ორგანო - გამგეობა:

პაატა დიასამიძე - გამგეობის თავმჯდომარე

ილონა დიასამიძე - წევრი

გიორგი ხიმშიაშვილი - წევრი

რუსლან წულუკიძე - წევრი

ნათია აფხაზავა - წევრი